

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 10

ქ. თელავი

2019 წლის 18 ივნისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი, ალექსი ძულიაშვილი, ლელა მენტემაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ლაღანიძე, საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი, საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება - მრეწველები" -ს თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება - კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი დიმიტრი ზაქაიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ლალისყურში მდებარე 4169 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (მრავალწლიანი ნარგავები) დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.
მომხს. ა. შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №46 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნუნუ სუმბაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ლალისყურში მდებარე 4169 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (მრავალწლიანი ნარგავები) დანიშნულების მიწის ნაკვეთის შექმნაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: გიორგი ჩაბრაშვილმა აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები შეზღუდულნი იყვნენ ეზოს არ ქონის გამო, ამიტომ თანხმობა უნდა მიეცეთ ნაკვეთის შექმნისთვის.

გ. ჩაბრაშვილის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ლალისყურში მდებარე 4169 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (მრავალწლიანი ნარგავები) დანიშნულების მიწის ნაკვეთის შექმნაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №46 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ზურაბ ენუქიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში სრულად არ არის ასახული არსებული გარე რეკლამის განთავსების ადგილები, კერძოდ სოფლებში არსებული.

ვასილ არაბულმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ სახით წარმოდგენილი პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად, ხოლო შემდგომში მერიის შესაბამის სამსახურმა დააზუსტოს ჩამონათვალი.

ვ.არაბულის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №46 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნუნუ სუმბაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: გურამ წულუკიძემ აღნიშნა, რომ სუმბაძის ოჯახს არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი და საჭიროა ვადის გაგრძელება, ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

გადაწყვეტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნუნუ სუმბაძისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოსმინეს: 4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: ნუსხის პირველ ორ საკითხთან დაკავშირებით გიორგი ჩაბრაშვილიმა აღნიშნა, რომ რუსთაველის გამზირზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების - 122კვ.მ. და 45 კვ.მ. საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანა და პრივატიზაცია მნიშვნელოვნად შეზღუდავს მიმდებარე კომერციული ობიექტების მესაკუთრეებს, რომელთაც ამ ნაკვეთების მიმართულებით გააჩნიათ შენობაში შესასვლელი კარებები პროექტის შესაბამისად, ასევე გამოთქვა მოსაზრება ამ ნაკვეთების ნუსხაში არ შეტანის თაობაზე.

გ.ჩაბრაშვილის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვეტეს: რუსთაველის გამზირზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები - 122კვ.მ. და 45 კვ.მ. არ იქნას შეტანილი საპრივატიზაციო ნუსხაში.

აზრი გამოთქვას: მესამე საკითხთან, სოფ. კურდღელაურში არსებულ 6437 კვ.მ. სახნავის ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით, ზურაბ ენუქიძემ აღნიშნა, რომ ორთოფოტოზე ნათლად სჩანს სახნავზე არსებული მრავალწლიანი ნარგავები - ხეები და ვენახი, აუდიტის კი აქვს შეფასებული მხოლოდ სახნავი მიწა, რის გამოც ბიუჯეტს პრივატიზაციიდან დააკლდება მნიშვნელოვანი თანხები, ამდენად მერიას დამატებით აქვს შესასწავლი პროექტის საკითხი.

ზ.ენუქიძის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

გადაწყვეტეს: მერიამ დამატებით შეისწავლოს სოფ. კურდღელაურში არსებულ 6437 კვ.მ. სახნავის ნუსხაში შეტანის საკითხი.

მეოთხე საკითხთან, სოფ.ვარდისუბანში არსებული 150777 კვ.მ. სახნავის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით,

აზრი გამოთვეს: საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილმა აღნიშნა, რომ არ შეიძლება ამ მიწის ნუსხაში შეტანა ვინაიდან სოფელს აქვს ერთადერთი საქონლის გასადევიარ-სამოვარი, რომლის გაყიდვა მოსახლეობას დააზარალებს და სამართლიან უკმაყოფილებას გამოიწვევს.

დ.გოგოშვილის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

გადაწყვიტეს: სოფ.ვარდისუბანში არსებული 150777 კვ.მ. სახნავი არ იქნას შეტანილი საპრივატიზაციო ნუსხაში.

მეხუთე-მეექვსე საკითხთან დაკავშირებით,

აზრი გამოთქვეს: ზურაბ ნაცარაშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ რუისპირის თავზე არსებული გზის ქვემოთ მდებარე ყველა სახნავი არის მოსახლეობის საკუთრება, სადაც ვერ ამოვებენ საქონელს, ხოლო გზის ზემოთა ნაწილი წარმოადგენს სატყეო ფონდს, რომელსაც და ასევე გზის მიმდებარედ არსებულ 6538 კვ.მ. და 2692 კვ.მ. სახნავ მიწას მოსახლეობა იყენებს სამოვრად, ამ ფაქტორის გამო დააყენა საკითხი, რომ მერიამ დამატებით შეისწავლოს მოსახლეობის გამოკითხვის მეშვეობით ამ ორი ნაკვეთის საპრივატიზაციო გეგმაში შეტანის მიზანშეწონილობის საკითხი.

გადაწყვიტეს: სოფ.რუისპირში არსებული 6538კვ.მ. და 2692 კვ.მ. სახნავი მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის საკითხი დამატებით იქნას შესწავლილი მერიის შესაბამის სამსახურის მიერ.

კომისიის თავმჯდომარე

ა. 

ალექსანდრე შათირიშვილი